ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.02.2019
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/19

შეკითხვა:

იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს ადვოკატი წარმოადგენდა ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებულის ინტერესებს. გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომელიც შემდგომ ბრალდებულმა გაასაჩივრა და მიუთითა, რომ სხდომაზე იყო აფექტურ მდგომარეობაში და ეს ადვოკატის ბრალიც იყო და აღარ სურდა მას გაეგრძელებინა მისი ინტერესების დაცვა. აღნიშნულის შემდგომ ბიუროს სხვა ადვოკატის საქმეში ჩართვით, ხომ არ წარმოქმნება რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი?

ანალიზი:

ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) 8.2).

როგორც შეკითხვიდან ირკვევა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი სავალდებული დაცვის წესით წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების ეტაპზე, თუმცა შემდგომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით. კლიენტის დაცვა უნდა განახორციელოს სხვა ადვოკატმა. მოცემულ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის ან მისი საფრთხის არსებობას არ წარმოადგენს იმავე ბიუროს სხვა ადვოკატის მიერ სავალდებულო დაცვის წესით ინტერესების დაცვა.

საადვოკტო ბიუროების მიერ საქმეთა წარმოების დროს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს არეგულირებს ეთიკის კოდექსის 6.3 მუხლი, რომელიც ზღუდავს ერთ ბიუროში მომუშავე ადვოკატების მიერ წარმომადგენლობის განხორციელებას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე, თუკი კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. შესაბამისად, ბიუროს ადვოკატების მიერ ინტერესთა

კონფლიქტის შემთხვევა შეეხება არა ერთი და იმავე კლიენტის საერთო ინტერესის დაცვას, არამედ დაპირისპირებული ინტერესების მქონე კლიენტების საქმეში ჩართვას.

ამ შემთხვევაში, ნიშანდობლივია, კლიენტისათვის მისაღებია თუ არა იმავე ბიუროს ადვოკატმა გააგრძელოს მისი საქმისწარმოება, თუ ამავე სამსახურის სხვა ბიუროს ადვოკატი ჩაერთოს საქმეში. შესაბამსიად, მხოლოდ კლიენტის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია მეორე ადვოკატის მიერ საქმეში ჩართვა, რა დროსაც დაცული იქნება ეთიკური ვალდებულებები, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.